

თავი 6 პოლიტიკა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო



სარჩევი

6	პოლიტიკა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო.....	6-1
6.1	შესავალი.....	6-1
6.2	ეროვნული კანონმდებლობა.....	6-1
6.2.1	საქართველოს კონსტიტუცია	6-1
6.2.2	WREP-SR პროექტის შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო	6-2
6.3	მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულება (PCOA).....	6-3
6.3.1	ნავთობის ინდუსტრიის საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა.....	6-3
6.3.2	საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები	6-3
6.3.3	მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულების (PCOA) გარემოსდაცვითი და ტექნიკური სტანდარტები.....	6-6
6.3.4	შესაბამისი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა.....	6-7
6.4	პროექტის გარემოსდაცვითი სტანდარტები.....	6-28

ცხრილები

ცხრილი 6-1:	საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები.....	6-4
ცხრილი 6-2:	მილსადენის მშენებლობის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შესაბამისი საქართველოს კანონმდებლობა	6-8
ცხრილი 6-3:	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტები.....	6-22
ცხრილი 6-4:	ლიცენზიებსა და ნებართვებთან დაკავშირებული მოთხოვნები.....	6-28

6 პოლიტიკა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო

6.1 შესავალი

წინამდებარე თავში მოცემულია დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების (WREP-SR) პროექტის მარეგულირებელი ჩარჩოს ზოგადი აღწერილობა. პროექტთან დაკავშირებული კანონმდებლობა საკმაოდ რთულია, ამდენად, ამ თავში შემოთავაზებული პროექტის ზოგადი მარეგულირებელი კონტექსტია განხილული და იგი WREP-SR-ის პროექტის ყველა დებულების ამომწურავ ანალიზს არ წარმოადგენს; ასევე არაა მოცემული ქვემოთ აღწერილი რეგულაციების სრული ანალიზი.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების (WREP-SR) პროექტის საინჟინრო პროექტი, მშენებლობა და ექსპლუატაცია WREP-SR-ის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან ხელშეკრულების (HGA) და მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულების (PCOA) პირობების, ინდუსტრიის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის, ასევე შესაბამისი ქართული კანონმდებლობისა და BP-ს პოლიტიკის თანახმად განხორციელდება.

ამ თავში შემდეგი ინფორმაციაა მოცემული:

- ეროვნული კანონმდებლობა (საქართველოს კონსტიტუცია, ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან (HGA), PCOA და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა.
- შერჩეული საერთაშორისო და რეგიონული კონვენციები
- საერთაშორისო ინდუსტრიის შერჩეული სტანდარტები, პრაქტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები (შერჩეული საერთაშორისო კონვენცია, სტანდარტები, პრაქტიკა და სახელმძღვანელო, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) პოლიტიკა)
- BP-ს კორპორატიული პოლიტიკა.

გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან (HGA), მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულება (PCOA) და სხვა კანონებისა და დოკუმენტების ქვემოთ მოცემული აღწერა ზოგადი რეზუმეებია მხოლოდ და შესაბამისი მოქმედი კანონებისა თუ სხვა დოკუმენტების სრულ ტექსტებზე მითითებას შეიცავს.

6.2 ეროვნული კანონმდებლობა

6.2.1 საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია (1995, ბოლო შესწორების თარიღი: 2012 წლის 29 ივნისი) აღემატება სხვა ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ის განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელ გარემოში ცხოვრების ფუნდამენტურ უფლებებს (მუხლი 37, პარაგრაფი 3). კონსტიტუცია ადგენს, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას გარემო და უზრუნველყოს მდგრადი განვითარება (მუხლი 37, პარაგრაფი 4). ის

აყალიბებს საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობას (მუხლი 37, პარაგრაფი 5, მუხლი 42, პარაგრაფი 1).

6.2.2 WREP-SR პროექტის შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო

დასავლეთის მიმართულების საქსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების (WREP-SR) პროექტი შემდეგი სამთავრობო ხელშეკრულებების ფარგლებში ხორციელდება:

მთავრობათაშორისი ხელშეკრულება

საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებმა, ბაქოდან შავი ზღვის სანაპირომდე ნავთობის ტრანსპორტირებისათვის, WREP-SR-ის პროექტის შესამუშავებლად, თანმშორმლობის შესახებ მთავრობათაშორის ხელშეკრულებას (IGA) 1996 წლის მარტში მოაწერეს ხელი.

ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან

საქართველოს მთავრობასა და 12 ნავთობკომპანიისგან შემდგარ ჯგუფს (WREP-ის მონაწილეები) შორის გაფორმებული ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან (HGA) დასავლეთის მიმართულების საქსპორტო მილსადენის (WREP) განხორციელების და გამოყენების საკითხებს წარმართავს; ამდენად, - შეესაბამება სექციური ცვლილებების პროექტსაც (SR). HGA 1996 წლის 8 მარტსაა გაფორმებული და ადგენს ჩარჩო პირობებს WREP-ის განვითარებისათვის ორი მიდგომის - არსებული მილსადენის აღდგენა-განახლებისა და ახალ აღჭურვილობათა მშენებლობის - კომბინაციის გზით. ხელშეკრულება განსაზღვრავს მილსადენის განვითარებისა და ექსპლუატაციის პერიოდში მთავრობისა და მონაწილეების ვალდებულებებს. HGA მოითხოვს აღმასრულებელი კომპანიის დანიშვნას: ეს საქართველოს მილსადენის კომპანიაა (GPC Co (საქართველო)).

მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის დეტალური პირობები და ვადები HGA-ს დანართში, PCOA-შია გაწერილი. HGA და PCOA წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულს კანონებს, რომლებიც 1996 წლის 2 აპრილს დამტკიცდა. HGA/PCOA-ს, მათთან არათავსებად ან დაპირისპირებულ, საქართველოში მოქმედ სხვა ეროვნულ კანონსა თუ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე უპირატესი ძალა აქვს.

მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულება (PCOA)

PCOA-ს თანახმად, მილსადენის ექსპლუატაცია (რომელიც მოიცავს სამშენებლო ქმედებებსა და ამდენად, შეესაბამება WREP-SR პროექტს) უნდა განხორციელდეს:

1. ნავთობის ინსტრუქციის საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისად
2. PCOA- ში მოცემული გარემოსდაცვითი და ტექნიკური სტანდარტების მიხედვით
3. ხელშეკრულების სხვა დებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის (ყველა მარგულირებული კანონის ჩათვლით) თანახმად
4. ისე, როგორც კეთილგონიერი საქმოსანი წარმართავდა საქმეს.

6.3 მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულება (PCOA)

მომდევნო ქვეთავები PCOA-ს მოთხოვნების საპროექტო ინტერპრეტაციას ეხება.

6.3.1 ნავთობის ინდუსტრიის საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების (WREP-SR) პროექტის ფარგლებში განხორციელდა მილსადენის საერთაშორისო ინდუსტრიასთან დაკავშირებული სხვადასხვა პოტენციურად საჭირო საერთაშორისო სტანდარტისა და პრაქტიკის გადახედვა.

ზუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ფარგლებში, განხილული იქნა მილსადენის მშენებლობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული, WREP-SR პროექტის შესატყვისი, საერთაშორისო პრაქტიკის ამსახველი ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებია:

- საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქმიანობის სტანდარტები (2012)
- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია/მსოფლიო ბანკი „ზოგადი EHS სახელმძღვანელო“ (2007) და „EHS ხმელეთზე მოპოვებული ნავთობისა და გაზის განვითარების სახელმძღვანელო პრინციპები“ (2007)
- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები
- ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის ასოციაციების მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები
- ევროკავშირისა და გაერთიანებული სამეფოს სტანდარტები და პრაქტიკა (საერთაშორისო ინდუსტრიის სტანდარტებთან თავსებადობის შემთხვევები)
- ინდუსტრიის ზოგადი პრაქტიკა.

ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტები, პრაქტიკა და სახელმძღვანელო პრინციპები სხვადასხვა საინჟინრო პროექტსა და ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს, რომლებიც გათვალისწინებული იქნა ESIA-ს სამუშაო ვერსიის მომზადებისას და, შესაბამისად, მიღებული იქნა, იხ. მე-10 და მე-13 თავები .

6.3.2 საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები

საქართველო მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და კონვენციის ხელმომწერი მხარეა. მათგან დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების (WREP-SR) პროექტთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელშეკრულებები და კონვენციები მოცემულია (იხ. ცხრილი 6-1).

საერთაშორისო კონვენციები ძალაში ეროვნული კანონმდებლობის საშუალებით შედის; ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა კი WREP-SR-ის პროექტის, PCOA-თი გათვალისწინებული, ვალდებულებაა. თუ საქართველო საერთაშორისო კონვენციასთან მიერთებულია რატიფიცირებისა და ეროვნულ კანონმდებლობაში მისი ასახვის გარეშე, ე.ი. ქვეყნის განზრახული აქვს, შეასრულოს კონვენციის პირობები, თუმცა ეს პირობები კანონით სავალდებულო ჯერ არ არის.

პროექტის შემუშავებისა და ESIA-ს მომზადების დროს, WREP-SR-ის პროექტმა, ძირითად გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული (და არა უშუალოდ ნავთობისა და გაზის

სექტორთან), არარატიფიცირებული (მაგრამ ხელმოწერილი) კონვენციების პირობებზე გაითვალისწინა.

პროექტმა გაითვალისწინა, რომ ეს კონვენციები შესაძლოა საჭირო სახელმძღვანელო პრინციპებს შეიცავდეს, მათ შორის, მითითებებს ზემოქმედების შესაძლო შემარბილებელ ღონისძიებებსა და შესაბამის საერთაშორისო პრაქტიკაზე. ჰაერის ხარისხისა და კლიმატის ცვლილებასთან, ბიომრავალფეროვნების, სახეობებისა და ჰაბიტატების, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან, საჯარო კონსულტაციებსა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი კონვენციები მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 6-1). აქვეა მითითებული საქართველოს მთავრობა ხელმოწერის, მიერთებისა თუ რატიფიცირების გზითა დაკავშირებული კონვენციასთან.¹

ცხრილი 6-1: საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები

დასახელება	სტატუსი საქართველოში
გაერთიანებული ერების კლიმატის ცვლილების თაობაზე ჩარჩო კონვენცია (UNFCCC)	რატიფიცირებულია 1994
კიოტოს პროტოკოლი UNFCCC-ს	რატიფიცირებულია 1999
მონრეალის პროტოკოლს ოზონის შრისთვის საფრთხის წარმოქმნელი ნივთიერებების წარმოების შემცირების შესახებ (და მისი ლონდონის, კოპენჰაგენის, მონრეალისა და პეკინის შესწორებები)	მიერთებული 1996 (შესწორება 2000 და 2011)
ოზონის შრის დაცვის ვენის კონვენცია	მიერთებული 1996
შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ ჟენევის კონვენცია	მიერთებული 1999
რამსარის კონვენცია, რომელიც იცავს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგის ტერიტორიებს	მიერთებული 1997
რიოს კონვენცია ბიოლოგიურ მრავალფეროვნების შესახებ	შეთანხმებული 1994
გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია (CITES)	რატიფიცირებულია 1994
კონვენცია მიგრირებადი სახეობების შესახებ	რატიფიცირებულია 2000
პარიზის კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ	მიერთებული 1992
გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენცია	რატიფიცირებულია 1999
ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ	მიერთებული 1999
ორჰუსის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ	რატიფიცირებულია 2000
სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ	რატიფიცირებულია 2006

¹ ხელმოწერა კონვენციის მონაწილე მხარედ გახდომის მიზანს ადასტურებს; რატიფიცირება ან მიერთება იურიდიულ ვალდებულებას ანიჭებს მხარეს მიიღოს მის მიერ რატიფიცირებული კონვენცია.

დასახელება	სტატუსი საქართველოში
როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ	მიერთებული 2006
ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის ბერნის კონვენცია	რატიფიცირებულია 2008
გაერთიანებული კონვენცია გამოყენებულ საწვავთან მოპყრობის უსაფრთხოებისა და რადიაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის უსაფრთხოების შესახებ	მიერთებული 2009
ევროპის ლანდშაფტების კონვენცია	მიერთებულია 2010
ჟენევის კონვენცია სამუშოზე მისაღბი მინიმალური ასაკის შესახებ	რატიფიცირებულია 1996
შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სოციალური პოლიტიკის კონვენცია (ძირითადი მიზნები და სტანდარტები)	რატიფიცირებულია 1997
ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების დაცვის ევროპული კონვენცია	რატიფიცირებულია 1999
ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია	რატიფიცირებულია 1933
დასაქმების პოლიტიკის ჟენევის კონვენცია	რატიფიცირებულია 1993
იძულებითი შრომის კონვენცია	რატიფიცირებულია 1997
კონვენცია ანაზღაურებადი შვებულების შესახებ	რატიფიცირებულია 1997
კონვენცია ასოციაციის თავისუფლებისა და ის ორგანიზაციის დაცვის შესახებ	რატიფიცირებულია 1997
კონვენცია დასაქმების მომსახურების შესახებ	რატიფიცირებულია 1999
კონვენცია კოლექტიური მოლაპარაკებების ორგანიზაციისა და წარმატების უფლებების შესახებ	რატიფიცირებულია 1993
კონვენცია თანაბარი ანაზღაურების შესახებ	რატიფიცირებულია 1996
კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ	რატიფიცირებულია 1996
კონვენცია შრომის და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ	რატიფიცირებულია 1993
კონვენცია სოციალური პოლიტიკის (ძირითადი მიზნები და სტანდარტები) შესახებ	რატიფიცირებულია 1997
კონვენცია დასაქმების პოლიტიკის შესახებ	რატიფიცირებულია 1993
კონვენცია მინიმალური ასაკის შესახებ	რატიფიცირებულია 1996
კონვენცია ადამიანური რესურსების განვითარების შესახებ	რატიფიცირებულია 1993
კონვენცია შრომითი ურთიერთობების (საჯარო მომსახურება) შესახებ	რატიფიცირებულია 2003
კონვენცია დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ	რატიფიცირებულია 2002
კონვენცია ბავშვის შრომის ყველაზე უარესი ფორმების შესახებ	რატიფიცირებულია 2002

2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც წინასწარ ამოქმედდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან. ამ

შეთანხმებით შემოღებულია პრევერენციალური ვაჭრობის რეჟიმი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შექმნის საფუძველზე. ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს მთელ რიგ ვალდებულებებს გარემოს დაცვის სფეროში, რომლებიც მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას; აგრეთვე - საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას, გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

- (a) გარემოსდაცვითი მმართველობა, მათ შორის სტრატეგიული დაგეგმვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოს სტრატეგიული შეფასება, განათლება და ტრენინგი, მონიტორინგი და გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემები, ზედამხედველობა და აღსრულება, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, გარემოსთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლა, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესები და ადმინისტრაციული და სამართლებრივი განხილვის ეფექტიანი პროცედურები;
- (b) ჰაერის ხარისხი;
- (c) წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა, მათ შორის წყალდიდობის რისკის მართვა, წყლის რესურსების სიმწირე და გვალვები, ასევე საზღვაო გარემო;
- (d) ნარჩენების მართვა;
- (e) ბუნების დაცვა, მათ შორის, სატყეო მეურნეობა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაცია;
- (f) ინდუსტრიული დაბინძურება და ინდუსტრიული საფრთხეები; და
- (g) ქიმიური ნივთიერებების მართვა.

საქართველო ვალდებულია მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან.

6.3.3 მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულების (PCOA) გარემოსდაცვითი და ტექნიკური სტანდარტები

გარემოსდაცვითი სტანდარტები

დაცული უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ზოგადი გარემოსდაცვითი პრინციპები:

- ნავთობის ჩაშვების თავიდან აცილება
- ნარჩენების მართვა საუკეთესო განხორციელებადი გარემოსდაცვითი შესაძლებლობის გამოყენებით
- ემისიების ინვენტარიზაციის მომზადება
- ნარჩენების ყველა ნაკადის განთავსება მისაღები წესისა და კონცენტრაციის შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთხსენებულ ნაწილში A აღწერილი სამუშაო პროგრამის მიმდინარეობისას
- ნავთობის ინდუსტრიის საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიხედვით, ემისიების მონიტორინგის პროგრამის მომზადება

გარდა ამისა, PCOA მოითხოვს შემდეგი პირობების შესრულებას:

- მაქსიმალური ძალისხმევით გამოყენება, ბუნებრივი გარემოს, სხვა ბუნებრივი რესურსებისა და საკუთრების შესაძლო შემფოთების შესამცივრებლად
- მთავრობის დროული ინფორმირება ავარიული სიტუაციისა და ისეთი შემთხვევების შესახებ, როგორცაა გაჟონვა და დაღვრა და მათ გასაუვნებელყოფებლად მიღებული ზომები
- გარემოსდაცვითი სტრატეგიის განხორციელება, რომელიც მოიცავს ფონური მდგომარეობის კვლევას, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (EIA), ნავთობის გაუთვალისწინებელი დაღვრის შემთხვევების დაგეგმვასა და მიმდინარე მონიტორინგის ტექნიკურ მოთხოვნებს
- EIA უნდა განხორციელდეს აღიარებული საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის მიერ, ევროკავშირის EIA-ს დირექტივის შესაბამისად
- უნდა განხორციელდეს EIA-ში დეტალურად აღწერილი შერბილებისა და მონიტორინგის წინადადებები
- ყოველწლიურად უნდა მოხდეს გარემოსდაცვითი პარამეტრების შეთანხმებული ნაკრების მონიტორინგი და ანგარიშგება
- უნდა მომზადდეს და განხორციელდეს ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმა (OSRP).

ტექნიკური სტანდარტები

მილსადენის ექსპლუატაცია ნავთობის ინდუსტრიის მოწინავე საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიხედვით უნდა განხორციელდეს.

6.3.4 შესაბამისი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

PCOA მოითხოვს შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, მათ შორის ყველა მარეგულირებელ კანონთან, შესაბამისი გარემოსდაცვითი (და შესაბამისი უსაფრთხოების) კანონების ჩათვლით.

შესაბამისი გარემოსდაცვითი კანონები განისაზღვრება შემდეგნაირად: „გარემოს დაცვასა და აღდგენასთან დაკავშირებული საქართველოს კანონები და კანონმდებლობა, რომლებთან შესაბამისობა და რომელთა დებულებების შესრულება არ არის მნიშვნელოვნად უფრო რთული და ძვირი, ვიდრე ნავთობის ინდუსტრიის ზოგად და უპირატესი ძალის მქონე საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან თანხმობა“.

ეროვნული ადმინისტრაციული ჩარჩო

საქართველო იყოფა ცხრა რეგიონად, რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილია ადმინისტრაციულ რაიონებად. ასევე გამოყოფილია ორი ავტონომიური რესპუბლიკა (აჭარა და აფხაზეთი), რომლებიც შეიქმნა საბჭოთა კავშირის დროს. ცენტრალური ხელისუფლების ყველა ორგანო, გარდა საკონსტიტუციო სასამართლოსა და ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა, მდებარეობს თბილისში, საქართველოს დედაქალაქში. ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები ახორციელებენ ძირითად ადმინისტრაციულ ფუნქციებს თითოეულ რაიონში.

გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე პასუხისმგებლობა სხვადასხვა სამთავრობო ორგანოს შორისაა გადანაწილებული. დასავლეთის მიმართულების საექსპორტო

მილსადენის სექციური ცვლილებების (WREP-SR) პროექტთან ყველაზე მეტად დაკავშირებულია შემდეგი ორგანიზაციები:

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია მშენებლობის ნებართვების გაცემაზე
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემაზე და ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე. აგრეთვე - წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიებისა და ტყით სარგებლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების დადებაზე
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია არქეოლოგიური გათხრების ნებართვებისა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე საექსპერტო დასკვნების გაცემაზე.

ძირითადი ეროვნული კანონმდებლობა

BP რეგულარულად აწარმოებს საქართველოს იმ ძირითადი კანონმდებლობის (კანონები, მინისტრების ბრძანებები და პრეზიდენტის ბრძანებულებები) აღრიცხვას, რომელიც ქვეყანაში მის საქმიანობასთანაა დაკავშირებული. WREP-SR-ის პროექტის გარემოსა და სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები, მათი მოქმედების ფარგლების მოკლე რეზიუმეებთან ერთად, წარმოდგენილია ქვემოთ (იხ. ცხრილი 6-2) (შენიშვნა: ცხრილი ამომწურავი არ არის, მაგრამ წარმოაჩენს პროექტთან დაკავშირებულ ძირითად საკანონმდებლო საკითხებს).

ცხრილი 6-2: მილსადენის მშენებლობის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შესაბამისი საქართველოს კანონმდებლობა

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
მიწის (საკუთრების) ლიცენზირებისა და უფლებების საკანონმდებლო აქტები			
კანონი ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ	24-ივნ-05	12-ივნ-15	კანონი არეგულირებს ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემას საქართველოში, ადგენს ლიცენზირებისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ლიცენზირებისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს. ამ კანონით განსაზღვრულია განსხვავებულ ლიცენზირებასა და ნებართვებს არცერთი სხვა კანონი არ ადგენს. ასევე, ვერცერთი ადმინისტრაციული ორგანო მოითხოვს იმ ლიცენზირებისა და ნებართვების სანქცირებას, რომელიც ამ კანონით არ არის გათვალისწინებული. კანონით განსაზღვრულ მნიშვნელოვან ლიცენზირებასა და ნებართვებში შედის: სამშენებლო ნებართვა, გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ტყით სარგებლობის ლიცენზია, წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია. საქმიანობის დაწყება იმ ქმედების განსახორციელებლად, რომლებიც მოცემულია ქმედებების ნუსხაში, რომლებიც საჭიროებს საქართველოს მთავრობის სანქციას, შესაბამისი ლიცენზირების/ნებართ(ებ)ის მიღებამდე არ უნდა მოხდეს.

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
WREP ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან (HGA)	08-მარ-96		HGA აერთიანებს ტექნიკურ, საკანონმდებლო, მიწის შეძენისა და კომპენსაციის გადახდის, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების საკითხების, დავების მოგვარებისა და ფისკალური რეჟიმის სხვადასხვა გრანტებს, უფლებებს, გამონაკლისებს, უფლებაზე უარებს და სტანდარტებს, რომელთა თანახმადც ნავთობკომპანიები განახორციელებენ WREP-SR პროექტს; HGA-ში ასევე მოცემულია საქართველოს მთავრობის, საქართველოს საერთაშორისო ნავთობკომპანიისა (GOGC) და ნავთობკომპანიების ორმხრივი უფლებები და მოვალეობები.
WREP მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულება (PCOA)	08-მარ-96	22-აპრ-03	საქართველოს საერთაშორისო ნავთობკომპანიისა (GIOC) და ნავთობკომპანიების მიერ ხელმოწერილი მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ხელშეკრულება (PCOA) HGA-ს დანართს წარმოადგენს. PCOA-ში გაწერილია ტარიფების სტრუქტურა, მილსადენის ექსპლუატაციის პროცედურები და დეტალები, ღონისძიებები, ხელშეკრულების მხარეების უფლებები და მოვალეობები, მუშაობის პირობები, მილსადენის ექსპლუატაციისათვის გარემოსდაცვითი სტანდარტები და უსაფრთხოების პრაქტიკა, ნავთობისა და აღჭურვილობის გამოყენებისა და საკუთრების საკითხები, ფორს მაჟორი, ასევე მხარეების ვალდებულებები და გარანტიები.
სამოქალაქო კოდექსი	26-ივნ-97	20-მარ-15	საქართველოში მხარეებს შორის ხელშეკრულების პირობებს სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს. კოდექსში აღწერილია კერძო და იურიდიული პირების უფლებები და მოვალეობები და განსაზღვრულია დოკუმენტში მითითებული მოთხოვნების დარღვევების შემთხვევაში საჯარო საჩივრები. სამოქალაქო კოდექსი ახდენს უძრავი და მოძრავი ქონების დიფერენციაციას და აწესებს საკუთრების შეძენის, მესაკუთრული და სავალდებულო უფლებების გამოყენების წესებს. საქართველოში ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას, საქმიანობაში სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინება სავალდებულოა.
კანონი "საჯარო რეესტრის შესახებ"	19-დეკ-08	25-მაი-12	კანონი ადგენს იმ უფლებებს, რომლებიც საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საგანს წარმოადგენს, ასევე მათი რეგისტრაციისათვის საჭირო დროსა და თანხას. კანონი ასევე ადგენს უფლებების რეგისტრაციისათვის საჭირო მიწის საკადასრო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. კანონის თანახმად, მიწის უფლებების რეგისტრაციის ფაქტი ნაკვეთზე ან სხვა უძრავ ქონებაზე უფლების წარმოშობის, გადაცემის, შეზღუდვის ან გაუქმების ოფიციალური აღიარება ან დადასტურებაა.

დასავლეთის მიმართულების საქსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N 4 საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე	15-იან.-10	30-ივლ-15	ეს ინსტრუქცია ადგენს უფლებების რეგისტრაციის პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრულია კანონში საჯარო რეესტრის შესახებ
ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ	11-ივლ-07	20-სექ-13	კანონში განსაზღვრულია იმ ადამიანთა ჯგუფი, რომელთა საკუთრებაში და სარგებლობაშია მიწის ნაკვეთები, რომლებიც ექვემდებარება საკუთრების უფლების რეგისტრაციას და მოითხოვს საკუთრების უფლების შემდგომ ფორმალიზებასა და დადასტურებას სახელმწიფოს მხრიდან, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით.
საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 525 ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ	15-სექ-07	16-აგვ-13	ბრძანებულება ზემოთ მოცემული კანონის კონცეფციების შემდგომ განმარტებებს აკეთებს და ადგენს თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში აღიარების პირობებსა და წესებს, მათ შორის 1994 წლამდე ცალკეული პირების მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთებისათვის.
კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“	21-ივლ-10	8-ივლ-15	კანონი აწესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და განსაზღვრავს სახელმწიფო საკუთრების სარგებლობაში გადაცემის სპეციალურ მოთხოვნებსა და პროცედურებს. კანონი განიხილავს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთრებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო სტრუქტურად.
კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“	2-ოქტ-97	25-დეკ-14	კანონი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის, გამოყენების ან განკარგვის დროს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო საკომპენსაციო თანხების ოდენობას. კანონი ადგენს საკომპენსაციო თანხის გადახდის პროცედურას, აგრეთვე - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისათვის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის წესს და პირობებს, მათ შორის მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის ან მოსარგებლისათვის დროებითი სარგებლობით, მისი უფლებების შეზღუდვით ან მიწის ხარისხის გაუარესებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხებს.

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“	16-აპრ-99	10-ივლ-15	კანონი არეგულირებს ურთიერთობებს სახელმწიფო უწყებებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა და ინვესტორებს შორის ნავთობსა და გაზთან დაკავშირებული საქმიანობის სფეროში, მათ შორის ნავთობისა და გაზის რესურსის ძიებას, მოპოვებას, გადამუშავებას ან ტრანსპორტირებას საქართველოს ტერიტორიაზე. კანონში განსაზღვრულია მხარეების უფლებები და მოვალეობები და დადგენილია პროდუქციის განაწილების ხელშეკრულებისა და ამ მიზნით დადებული სხვა ხელშეკრულებების არსებითი პირობები და სხვა მოთხოვნები. ნავთობისა და გაზის საქმიანობებთან დაკავშირებული ბიზნეს-კომპანიები ვალდებული არიან, საჭიროებისამებრ დაიცვან პროდუქციის განაწილების ხელშეკრულების პირობები.
კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“	23-ივლ-09	06-სექ-13	კანონი ადგენს კერძო საკუთრების ჩამორთმევის შესაბამის პირობებსა და პროცედურებს (სახელმწიფოს სუვერენული უფლება, გაასხვისოს კერძო საკუთრება), ასევე მესაკუთრისათვის ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის გადახდის ან ჩამორთმეული ქონების საბაზრო ღირებულების მქონე სხვა ქონების გადაცემის პროცედურებს.
საქართველოს კანონი “წილის შესახებ“	17-მაი-96	26-დეკ-14	კანონი განსაზღვრავს წილისეული რესურსების სტატუსს, არეგულირებს მათ აღმოჩენას, გამოყენებას და მოპოვებას კერძო პირებისა და ორგანიზაციების მიერ, და განსაზღვრავს საჭირო ნებართვებსა და შსაბამის პროცედურებს. ეს კანონი არ ეხება ნავთობისა და ბუნებრივი გაზის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებსაც არეგულირებს კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“. სასარგებლო წილისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესი და პირობები დადგენილია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #136 დადგენილებით (ბოლო განახლება - 23.12.2014).
კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“	29-დეკ-04	25-მაი-15	კანონი აწესებს მოსაკრებელს ბიზნეს-კომპანიებისათვის, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კონკრეტული ბუნებრივი რესურსების გამოყენების მიზნით, მიღებული აქვთ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზია და განსაზღვრავს მოსაკრებლების ოდენობას ცალკეული ბუნებრივი რესურსისათვის, მათ შორის სასარგებლო წილისეულით, ტყის ფონდის მერქნული რესურსებით, მცენარეული არამერქნული რესურსებით, ზედაპირული წყლებისა და ცხოველთა სამყაროს რესურსებით სარგებლობისათვის.

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
მთავრობის დადგენილება #57 „სამშენებლო ნებართვის გაცემის წესებისა და პირობების შესახებ“	24-მარ-09	05-თებ-15	ეს დადგენილება სამშენებლო ნებართვებთან დაკავშირებულ ისეთ პროცედურებს არეგულირებს, როგორცაა: სამშენებლო ვადებისა და პირობების განსაზღვრა, არქიტექტურული გეგმის დამტკიცება, ნებართვის გაცემა. ბიზნეს-კომპანიები ვალდებული არიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისგან მიიღონ მშენებლობის ნებართვა, როგორც განსაზღვრული ვადით სამშენებლო საქმიანობის წარმოების იურიდიული საფუძველი.
ზოგადი გარემოს დაცვა			
კანონი „ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“	14-დეკ-07	05-მაი-11	კანონი განსაზღვრავს საქმიანობების სრულ ჩამონათვლას, რომლებიც ექვემდებარებიან ეკოლოგიურ ექსპერტიზას და, შესაბამისად, საჭიროებენ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ასევე ქმნის გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის სამართლებრივ საფუძველს. კანონში მითითებულ საქმიანობებთან დაკავშირებული მშენებლობა ან არსებული საწარმოო ტექნოლოგიის შეცვლა განსხვავებული ტექნოლოგიით, რაც იწვევს ექსპლუატაციის პირობების შეცვლას, ასევე განიხილება, როგორც ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა. გზშ-ს ჩატარებასა და შესაბამისი ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქმიანობის განმახორციელებელი. საქმიანობის განმახორციელებელი, ასევე, ვალდებულია ჩაატაროს გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა, ნებართვის გამცემი ორგანოსათვის ანგარიშის წარდგენამდე. კანონი განსაზღვრავს გზშ-ს საჯარო განხილვის პროცედურას და ადგენს გზშ-ს ანგარიშში მისი შედეგების ასახვის მოთხოვნებს. კანონი განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურას. გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაიცემა ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, როცა კანონში მითითებული საქმიანობა საჭიროებს მშენებლობის ნებართვასაც, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას პროექტზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები არის მშენებლობის ნებართვის პირობების ნაწილი. დასკვნის პირობების შესრულება სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისათვის.

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება #31 „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე	15-მაი-13		ბრძანებით განსაზღვრულია გზშ-ს პროცესის განხორციელების ეტაპები და საკითხები, რომლებიც სავალდებულოა, რომ განხილული იქნეს გზშ-ს ანგარიშში. დოკუმენტი მოითხოვს მონიტორინგის გეგმის შემუშავებას საქმიანობის განხორციელებისა და მიმდინარეობის ეტაპებისათვის.
კანონი გარემოს დაცვის შესახებ	10-დეკ-96	26-დეკ-14	<p>კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში. კანონი ადგენს გარემოს დაცვის ძირითად პრინციპებს. კანონი ეხება საკითხების ფართო სპექტრს, მათ შორის, განათლებას და სამეცნიერო კვლევას გარემოს დაცვის სფეროში, გარემოსდაცვით მმართველობას, ეკონომიკურ მექანიზმებს, გარემოსდაცვით მონიტორინგს და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ლიცენზირებას, გზშ-ს და გარემოსდაცვით ნებართვებს, ნარჩენების მართვას. კანონი არეგულირებს ბუნებრივი ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის სხვადასხვა ასპექტებს, ეხება დაცულ ტერიტორიებს, ოზონის შრის დაცვას, შავი ზღვის დაცვასა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს.</p> <p>კანონი ადგენს გარემოსდაცვით მოთხოვნებს საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღებისას და განხორციელებისას. ქმნის სამართლებრივ საფუძველს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგები. ადგენს გარემოსდაცვით მოთხოვნებს ობიექტის ექსპლუატაციაში გადაცემის და ლიკვიდაციის ეტაპებისათვის.</p>
კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“	16-სექ-94	16-ივლ-15	<p>კანონი ადგენს მოთხოვნებსა და პრინციპებს ქვეყნის მიწის რესურსების უარყოფითი ზემოქმედებისაგან დასაცავად და ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისათვის. ბიზნეს-კომპანიები ვალდებულნი არიან, შეესაბამებოდნენ კანონის მოთხოვნებს, რათა უზრუნველყონ ნიადაგის დაცვა. კანონი განსაზღვრავს ნიადაგდაცვით ღონისძიებებსა და საშუალებებს, ასევე, აკრძალავს ნიადაგის დაცვის მიზნით. მაგ., კანონის თანახმად იკრძალება ნაყოფიერი ნიადაგის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენება, არასასოფლო-სამეურნეო ხასიათის ნებისმიერ საქმიანობა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოუხსნელად, მის დაუკონსერვებლად და დანიშნულებისამებრ გამოყენებლად; ყოველგვარი ქმედება, რომელიც გააუარესებს ნიადაგის თვისებებს და სხვა ქმედებები.</p>

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
კანონი „ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) ექსპერტიზის შესახებ“	14-დეკ-07	25-მარ-13	ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) ექსპერტიზა (განხილვა) აუცილებელი გარემოსდაცვითი ღონისძიებაა. იგი ხორციელდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ იმ ქმედებებისთვის, რომლებიც გარემოსდაცვით ნებართვას საჭიროებს გარემოზე მათი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების გამო. ეკოლოგიურ ექსპერტიზას საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შესახებ კანონში ჩამოთვლილი ქმედებები. გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაიცემა მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის შემთხვევაში. ეკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელების მიზნით იქმნება საექსპერტო კომისია. ეკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელების ვადებია 10-15 დღე. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არის შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის შემადგენელი ნაწილი, ხოლო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობა – სანებართვო პირობა, რომლის შესრულება სავალდებულოა გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის მფლობელისათვის.
კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“	08-მაისი-03	19-აპრ-13	კანონი ადგენს სამართლებრივ პრინციპებს, ღონისძიებებს, შეზღუდვებსა და აკრძალვებს საქართველოს ტერიტორიაზე ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით. კანონი განსაზღვრავს ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებებსა და საშუალებებს. ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების გაუმჯობესების მიზნით კანონი კრძალავს: უწესრიგო მოვლას, მინდორსაცავი ზოლების გაკაფვას, არარეგისტრირებული სასუქების, მელიორანტებისა და სხვა საშუალებების გამოყენებას, ნიადაგების დაბინძურებას და ყველა ქმედებას, რომელიც გააუარესებს ნიადაგების თვისებებს, შექმნის გაუდაბნოების, დაჭაობების, დამლაშების, გაბიცობების, გამჟავიანებისა და სხვა უარყოფითი პროცესების დაწყების პირობებს. ბიზნეს-კომპანიები, რომლებიც იყენებენ ნიადაგს ან მასთან დაკავშირებულ ქმედებებს ახორციელებენ და გააჩნიათ ნიადაგის კონსერვაციაზე უარყოფითი ზემოქმედების მოხდენის პოტენციალი, ვალდებული არიან, დაიცვან ეს კანონი და შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტები.
კანონი „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“	27-ოქტ-00	05-მაისი-11	კანონი მოიცავს საზღვაო სანაპიროს ტერიტორიისა და მდინარის ნაპირების გარემოს სხვადასხვა ტიპის უარყოფითი ზემოქმედებებისგან დაცვის ზოგად პრინციპებსა და მოთხოვნებს. კანონი ბიზნეს-კომპანიებისათვის სპეციალურ მოთხოვნებს არ ადგენს, მაგრამ იგი გასათვალისწინებელია იმ კომპანიებისათვის, რომლებიც საზღვაო სანაპიროს

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
			ტერიტორიაზე ან მდინარის ნაპირებთან საქმიანობენ.
კულტურული მემკვიდრეობა			
კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“	08-მაისი-07	26-დეკ-14	კანონი განსაზღვრავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცედურებსა და არქეოლოგიური კვლევების სანებართვო პროცედურებს.
ჰაერის ხარისხი			
კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	22-ივნ-99	05-მაისი-14	კანონი არეგულირებს საშიშ ნივთიერებებითა და ანთროპოგენური მიზეზებით გამოწვეული ემისიების შედეგად, ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონი ადგენს მოთხოვნებს ყველა იმ ბიზნეს-კომპანიისათვის, რომელსაც ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი სტაციონარული წყაროები აქვს. ყველა საქმიანობისთვის, რომელიც ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას და აქვს ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი სტაციონარული წყაროები, უნდა დადგინდეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა. მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა დგინდება 5 წლის ვადით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თითოეული წყაროსთვის და თითოეული მავნე ნივთიერებისთვის. გაანგარიშების მიღებული შედეგები ფორმდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სახით, რომელიც უნდა წარედგინოს და დამტკიცდეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ. კომპანიები ვალდებული არიან აწარმოონ დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მონიტორინგი.
საშიში ნივთიერებები			
პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი	8-აპრ-10	26-დეკ-2014	კოდექსის მიზანია ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა; ბაზარზე უსაფრთხო პროდუქციის დაშვება და თავისუფალი ვაჭრობა; კონკურენციის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა პროდუქციის ბაზარზე შემოტანის დროისათვის; ანალიზისა და შეფასების სისტემის დანერგვა; გაზრდილი ტექნიკური საფრთხის შემცველი დანადგარების ესპლუატაციის წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის გზით.
კანონი „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“	23-ივლ-99	06-ივნ-03	კანონი მოიცავს საშიში ნივთიერებით დაბინძურების შედეგად გარემოსათვის მიყენებულ ზიანის კომპენსაციის გადახდის პრინციპებსა და პროცედურებს. ბიზნეს-კომპანიები ვალდებული არიან, დანაკარგის ღირებულების შეფასების საფუძველზე, მოახდინონ იმ ზიანის

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
			კომპენსაცია, რომელიც მიადგა სხვა პირს ან ტერიტორიას საშიში ნივთიერებით დაბინძურების შედეგად ამ ნივთიერების წარმოების, გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების და გამოყენების დროს ან სხვა შემთხვევაში. კანონით განსაზღვრულია ბუნებრივი და კულტურული გარემოს დაბინძურების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ვალდებულება. კანონის თანახმად, ნავთობი და ნავთობპროდუქტები საშიშ ნივთიერებებს მიეკუთვნება.
დაცული ტერიტორიები და ცოცხალი ბუნება			
კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ	07-მარ-96	30-აპრ-14	კანონი ქმნის სამართლებრივ საფუძველს საქართველოს ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების სისტემის დაგეგმვის, კატეგორიების შერჩევის, დაცული ტერიტორიების დაარსებისა და ფუნქციონირებისათვის. კანონი ახდენს დაცული ტერიტორიების კატეგორიზაციას და განსაზღვრავს თითოეული კატეგორიის შექმნის, განვითარების, გაუქმების, მართვის და დაფინანსების საკითხებს. იგი განსაზღვრავს დაშვებულ და აკრძალულ საქმიანობებს, მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების საკუთრების ფორმებს დაცული ტერიტორიების ფარგლებში. კანონის თანახმად დაცული ტერიტორიის დამხმარე ზონაში ეკონომიკურმა საქმიანობებმა არ უნდა მოახდინონ უარყოფითი ზეგავლენა დაცული ტერიტორიის ფუნქციონირებაზე.
კანონი დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ	22-ნოე-07	24-ივნ-15	კანონი ადგენს რამდენიმე დაცული ტერიტორიის საზღვრებსა და სტატუსს. კანონში წარმოდგენილია დაცული ტერიტორიების სია და თითოეულის საზღვრები. სიაში თითოეული დაცული ტერიტორიის სტატუსიცაა (ტიპი) მითითებული. კანონი განსაზღვრავს, რომ დაცული ტერიტორიების მართვას და დაცვას სახელმწიფო ახორციელებს. ამ კანონით გაუქმებულად ითვლება ყველა წინამორბედი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს დაცული ტერიტორიების საზღვრებსა და სტატუსს განსაზღვრავდა.
კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ	26-დეკ-96	26-დეკ-14	კანონი არეგულირებს ველური ცხოველების დაცვისა და სარგებლობის საკითხებს, მათ შორის ნადირობასა და თევზჭერას. კანონის თანახმად, ველურ ცხოველებსა და მათ ჰაბიტატებზე ზეგავლენა უნდა შეფასდეს და შემუშავდეს შემარბილებელი ღონისძიებები საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში. საწარმოთა დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესში, ასევე სხვა საქმიანობებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ველური ცხოველებისათვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატების დაცვის საკითხი.

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
კანონი საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ	06-ივნ-03	26-სექ-13	<p>წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ საქართველოს კანონი კრძალავს ნებისმიერ საქმიანობას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადაშენების პირას მყოფი სახეობების პოპულაციების რიცხოვნების შემცირება, მათი ჰაბიტატებისა და საარსებო გარემოს პირობების გაუარესება. დაგეგმილი საქმიანობის შესაძლო უარყოფითი ზეგავლენა გადაშენების პირას მყოფ სახეობებზე გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-სა და ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში.</p> <p>საქართველოს წითელი ნუსხა დამტკიცებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის #303 ბრძანებით, 2006 წელს. მოგვიანებით, იგივე ნუსხა, დამტკიცებული იქნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის #190 ბრძანებით.</p> <p>კანონით განსაზღვრულია ის განსაკუთრებული შემთხვევები, როდესაც დაიშვება წითელ ნუსხაში შეტანილი მცენარეების ან ცხოველების ამოღება ბუნებრივი გარემოდან. კერძოდ, წითელ ნუსხაში შეტანილი მცენარეების ამოღება ბუნებრივი გარემოდან შესაძლებელია განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებისას, რის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.</p>
საქართველოს ტყის კოდექსი	22-ივნ-99	06-სექ-13	<p>კოდექსი არეგულირებს ურთიერთობებსა და სახელმწიფო პოლიტიკას ტყის მართვის, გამოყენებისა და დაცვის სფეროში. ტყეზე ზემოქმედების პოტენციალის მქონე ბიზნეს-საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს კანონს. ტყის კოდექსი განსაზღვრავს ყველა საქმიანობას, რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს ტყის ფონდის ფარგლებში. ნებადართულია მხოლოდ ტყის რესურსების დაცვასა და სარგებლობასთან დაკავშირებული ქმედებები, როგორცაა ხე-ტყის ჭრა, არამერქნული რესურსების შეგროვება, ტერიტორიის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო და რეკრეაციული მიზნებისათვის, სამონადირეო მეურნეობების მოწყობა და სხვა.</p> <p>შესაძლებელია სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა აუცილებლობის შემთხვევაში ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.</p>

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
საქართველოს მთავრობის დადგენილება N 240 „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ“	13-აგვ-10	22-ივლ-15	დადგენილებით განსაზღვრულია სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის კორექტირების პროცედურა, როდესაც ხდება სახელმწიფო ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა. დადგენილებით განსაზღვრულია თუ რა შემთხვევებში არის დაშვებული ტყის ფონდიდან ტერიტორიების ამორიცხვა, ასევე განსაზღვრულია კომპენსაციის ღონისძიება თუ ტერიტორიის ამორიცხვა ხდება საინვესტიციო პროექტის განხორციელების გამო
საქართველოს მთავრობის დადგენილება N 242 „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“	20-აგვ-10	4-სექ-15	დადგენილებით განსაზღვრულია სხვადასხვა სახის ტყითსარგებლობის, მათ შორის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის წესები და პროცედურები. ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა ხორციელდება მილსადენების (და სხვა კომუნიკაციების) ფუნქციონირებისათვის, მშენებლობისათვის, რეკონსტრუქციისათვის, დემონტაჟისათვის ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისათვის; ასევე ნავთობისა და გაზის ოპერაციების ჩასატარებლად. სპეციალური ჭრების განხორციელება 35 გრადუსისა და მეტი დაქანების ფერდობებზე შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისას, რის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. ტყითსარგებლობის წესით ასევე განსაზღვრულია სპეციალური ტყითსარგებლობით მოჭრილი ხე-ტყის საკომპენსაციო საფასურის გადახდის საკითხები
დასაქმება			
კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ	10-დეკ-97	08-ივლ-15	კანონი საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის ზოგად პრინციპებს არეგულირებს. ბიზნეს-კომპანიებს მოეთხოვებათ უზრუნველყონ თანამშრომლების რეგულარული სამედიცინო მკურნალობა, დამსაქმებელის ხარჯით.
შრომის კოდექსი	17-დეკ-10	12-ივნ-13	კანონი არეგულირებს დასაქმებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს (დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის) საქართველოს ტერიტორიაზე, თუ მსგავსი ურთიერთობა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებით არ რეგულირდება. ბიზნეს-კომპანიები ვალდებული არიან, დაიცვან შრომის კოდექსი, რათა უზრუნველყოფილი იქნას თანამშრომლის უფლებების დაცვა.

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 231/ნ „ორსულობის, მშობიარობისა და ზავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შევბულების ანაზღაურების შესახებ“	25-აგვ-06	11-დეკ-13	ეს წესი განსაზღვრავს ორსულობასთან, მშობიარობასთან, დეკრეტთან, ზავშვის აყვანასთან დაკავშირებული შევბულების ანაზღაურებისა და კომპენსაციის გამოანგარიშების საკითხებს.
უსაფრთხოება			
კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ	29-მაი-2014	30-ივლ-14	კანონის მიზანია საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულირება. კანონი ქმნის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის სამართლებრივ საფუძველს, განსაზღვრავს მართვის ორგანოებს, ადგენს ორგანიზაციების მოვალეობებს საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში. კანონი მოიცავს საგანგებო სიტუაციების პრივენციის, საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის დაცვის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს.
კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ	27-ივნ-07	08-ივლ-15	კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით. მე-6 თავში გარემოს ხარისხის ნორმებია განსაზღვრული. ბიზნეს-კომპანიებმა უნდა დაიცვან ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების დასაშვები ნორმები და იონიზირებული რადიაციის, ხმაურისა და ვიბრაციის გამომწვევი საქმიანობა სპეციალურ შეზღუდვებს უნდა დაუქვემდებარონ. მე-7 თავი ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოებას ეთმობა.
კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ	20-მარ-12	08-ივლ-15	კანონი საქართველოს კონსტიტუციაში, საერთაშორისო შეთანხმებებში, ხელშეკრულებებსა და საქართველოს სამართლებრივ ჩარჩოში განსაზღვრული ვალდებულებების თანახმად, იონიზირებული რადიაციის მავნე ზემოქმედებისგან იცავს მოსახლეობას. განსაზღვრავს რადიოაქტიური მასალების გამოყენების წესებს და აწესებს რადიოაქტიური მასალებისა და ბირთვული უსაფრთხოების მოთხოვნებს. სახელმწიფო სააგენტოები ბირთვულ უსაფრთხოებასა და რადიოაქტიური მასალების გამოყენებასთან დაკავშირებული მდგომარეობის დოკუმენტირებასა და შეფასებაზე არიან პასუხისმგებელნი. ცალკე თავი ეთმობა რადიოაქტიურ მასალებთან დაკავშირებული საქმიანობების უსაფრთხოების მოთხოვნებს,

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
			წარმოების, გამოყენებისა და გადამუშავების პროცესების ჩათვლით . იგი მონიტორინგისა და კონტროლის მოთხოვნებს განსაზღვრავს. ბიზნეს-საქმიანობა შესაბამისობაში უნდა იყოს ამ კანონთან რადიაციის წყაროებთან დაკავშირებული საქმიანობების ორგანიზების შემთხვევაში.
ნარჩენები			
კანონი საქართველოში ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ.	08-თებ-95	06-სექ-13	კანონი არეგულირებს ურთიერთობებს მთავრობასა და კერძო და იურიდიულ პირებს შორის, საშიში ნარჩენების საქართველოს გავლით ტრანსპორტირებას ან საქართველოში იმპორტთან დაკავშირებით. კანონით განსაზღვრულია ნარჩენები, რომელთა ტრანზიტი და იმპორტი აკრძალულია საქართველოს ტერიტორიაზე. კანონით დადგენილია დოკუმენტაცია, რომელიც უნდა ერთვოდეს ნარჩენებს ტრანზიტისა და იმპორტის დროს.
ნარჩენების მართვის კოდექსი	26-დეკ-14	19-თებ-15	კოდექსი ადგენს ნარჩენების მართვის პრინციპებს, ნარჩენების მართვის სფეროში სახელმწიფო უწყებების კომპეტენციებს, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. კომპანიები, რომელთა საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში წარმოიქმნება 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი, ვალდებული არიან შეიმუშაონ ნარჩენების მართვის გეგმა. აღნიშნული გეგმა უნდა შეთანხმდეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და უნდა განახლდეს ყოველ 3 წელიწადში ან წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, რაოდენობის შეცვლის და დამუშავების პროცესში არსებითი ცვლილებების შემთხვევაში. კომპანია ასევე ვალდებულია განსაზღვროს გარემოსდაცვითი მმართველი და მისი ვინაობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. კოდექსით განსაზღვრულია გარემოსდაცვითი მმართველის პასუხისმგებლობები. კოდექსი ადგენს სახიფათო ნარჩენების მართვის მოთხოვნებს. კომპანია, რომელიც წლის განმავლობაში წარმოქმნის 2 ტონაზე მეტ სახიფათო ნარჩენს, ვალდებულია შექმნას და დანერგოს სახიფათო ნარჩენების სეპარირებისა და შეგროვების სისტემა, დანიშნოს გარემოსდაცვითი მმართველი და უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენებთან მომუშავე პერსონალისათვის შესაბამისი ტრენინგის ჩატარება. კოდექსით განსაზღვრულია სპეციალური მოთხოვნები სახიფათო ნარჩენების შეგროვებისათვის, დამუშავებისა და საბოლოო განთავსებისათვის. კოდექსი ადგენს ნარჩენების აღრიცხვისა და ანგარიშგების ვალდებულებებს.

კანონმდებლობა	ძალაში შესვლა	ბოლო განახლება	მოქმედების სფერო
წყალი			
კანონი წყლის შესახებ	16-ოქტ-97	26-დეკ-14	<p>კანონი განსაზღვრავს წყლის რესურსების უარყოფითი ზემოქმედებისაგან დაცვის მოთხოვნებსა და პრინციპებს. კანონი ქმნის სამართლებრივ საფუძველს მდინარეთა გასწვრივ, ტბებისა და წყლის სხვა ობიექტების გარშემო დაცვითი ზონების შექმნისათვის, რათა მოხდეს წყლის ობიექტების დაცვა დაბინძურებისა და დაზარებისაგან.</p> <p>კანონის თანახმად, იმ საქმიანობების განხორციელებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან ეკოლოგიურ ექსპერტიზას და საჭიროებენ გზშ-ს, უნდა განისაზღვროს ზედაპირულ წყლებში მავნე ნივთიერებათა ჩაშვების ზღვრულად დასაშვები ნორმები საქართველოს მთავრობის 2013 წლის 414 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ“ დებულების მიხედვით.</p> <p>სამრეწველო და არასამრეწველო ობიექტების მიერ, რომლებიც ახდენენ ზედაპირულ წყლებში ჩამდინარე წყლების ჩაშვებას და რომელთა საქმიანობა არ ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას, დაცული უნდა იქნას ჩაშვების ნორმები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #17 დადგენილებით.</p> <p>ბიზნეს-კომპანიები ვალდებული არიან, მოიპოვონ წყლის რესურსების გამოყენებისთვის კანონით განსაზღვრული ლიცენზიები და ნებართვები და ისე განახორციელონ საქმიანობა, რომ ზიანი არ მიაყენონ ქვეყნის წყლის რესურსებს.</p>
კანონი გზების შესახებ			
კანონი საგზაო მოძრაობის შესახებ	24-დეკ-13	29-აპრ-15	<p>კანონი განსაზღვრავს საზოგადოებრივ გზებზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამართლებრივ საფუძველს საქართველოში; გვაწვდის ინფორმაციას ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, ზედამხედველობისა და კონტროლის შესახებ და განსაზღვრავს შესაბამის მოთხოვნებს, როგორცაა მძღოლის ვალდებულებები, სიჩქარის შეზღუდვები, დოკუმენტები, რომლებიც საზოგადოებრივ გზებზე მძღოლებს თან უნდა ჰქონდეთ და სხვ.</p>

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ტყის რესურსების მართვის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და რეგულირების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი

შეფასების, წყლის რესურსების მართვის, ატმოსფერული ჰაერის დაცვის და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიმართულებით.

ზემოაღნიშნული პროცესის ერთ-ერთი შედეგი იქნება გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ კანონმდებლობისა და პროცედურების გაუმჯობესება საქართველოში. ამჟამად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მზადდება კანონპროექტი, რომლის მიზანია გზმ-ს პროცედურების შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის დირექტივებთან და ისეთი საკითხების ასახვა, როგორცაა სკრინინგი და სკოუპინგი; განიხილება სტრატეგიული გარემოზე ზემოქმედების შეფასების შემოღების საკითხი. კანონპროექტის შემუშავების დასრულება იგეგმება 2016 წლის განმავლობაში.

ასევე მზადდება კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ, რომლის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის დირექტივა 2000/60/EC-თან (მიღების შემდეგ იგი ჩაანაცვლებს წყლის შესახებ არსებულ კანონს). კანონპროექტის ძირითადი სიახლეა აუზური მართვის შემოღება და წყლის სექტორის მართვის დეცენტრალიზაცია. კანონის მიღების შემდგომ მოთხოვნილი იქნება ნებართვა წყალჩაშებისათვის და დაწესდება შესაბამისი გადასახადი. მიმდინარეობს ასევე, დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც მიღებული იქნება წყლის რესურსების მართვის შესახებ ახალი კანონის მიღების შემდგომ.

მიმდინარეობს „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის შესახებ ევროკავშირის დირექტივებით, როგორცაა 92/43/EC და 2009/147/EC, განსაზღვრული ვალდებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის მიზნით. კანონპროექტი მოიცავს მუხლებს საქართველოში „ზურმუხტის ქსელში“ ჩართული ტერიტორიებისა და ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილების შექმნისა და დაცვისათვის.

ტექნიკური რეგლამენტები

ქვემოთ, ცხრილში 6-3 შეჯამებულია დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტები.

ცხრილი 6-3: გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტები

ტექნიკური რეგლამენტი	მიღების თარიღი	მოქმედების სფერო
საქართველოს მთავრობის დადგენილება #17 „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“	03-იან-14	ამ დადგენილებით დამტკიცებულია: <ol style="list-style-type: none"> საწარმო და არასაწარმო ობიექტების ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტი ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტი ტექნიკური რეგლამენტი ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობებისთვის ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტის ფორმა საქართველოში ბალასტური წყლების მართვის პროცედურების ტექნიკური რეგლამენტი

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

ტექნიკური რეგლამენტი	მიღების თარიღი	მოქმედების სფერო
საქართველოს მთავრობის დადგენილება №425 „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“	31-დეკ-13	ტექნიკური რეგლამენტი არეგულირებს: 1. სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა სახეებს, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ უარყოფითი ზეგავლენა ზედაპირული წყლების მდგომარეობაზე; 2. წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურებას.
საქართველოს მთავრობის დადგენილება №440 „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“	31-დეკ-13	ადგენს ზედაპირული წყლის ობიექტების წყალდაცვით ზონებს და მათში მოქმედ აკრძალვებს.
საქართველოს მთავრობის დადგენილება №445 “საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“	31-დეკ-13	ადგენს მცირე მდინარეთა (რომელთა სიგრძე არ აღემატება 75 კმ-ს) წყალდაცვითი ზოლების სიგანე სა და წყალდაცვით ზოლში მოქმედ აკრძალვებს.
საქართველოს მთავრობის დადგენილება №414 „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“	31-დეკ-13	ზედაპირული წყლის ობიექტებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების დადგენა აუცილებელია იმ საქმიანობის სუბიექტებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობას და, ამასთანავე, აწარმოებენ წყლის ობიექტებში საწარმოო, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, სანიაღვრე და სადრენაჟო ჩამდინარე წყლების, აგრეთვე სამელიორაციო სისტემების ნარჩენი წყლების ჩაშვებას. რეგლამენტით დადგენილის ზდჩ-ს გაანგარიშების მეთოდიკა. ზდჩ-ის ნორმებს თითოეული წყალმოსარგებლისათვის განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.
საქართველოს მთავრობის დადგენილება №408 „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“	31-დეკ-13	ადგენს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების თვალსაზრისით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების მეთოდს.
საქართველოს მთავრობის დადგენილება #42 „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“	06-იან-14	ადგენს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობებსა და რაოდენობრივ მახასიათებლებს.

ტექნიკური რეგლამენტი	მიღების თარიღი	მოქმედების სფერო
საქართველოს მთავრობის დადგენილება №413 „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“	31-დეკ-13	ადგენს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების წესს
საქართველოს მთავრობის დადგენილება № 8 „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“	03-იან-14	ტექნიკური რეგლამენტის ამოცანა არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის უზრუნველყოფა
საქართველოს მთავრობის დადგენილება №424 „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“	31-დეკ-13	ტექნიკური რეგლამენტის მიზანია: 1. მიწის რესურსების დაცვა და რაციონალურად გამოყენება; 2. ნიადაგის ნაყოფიერი, პროდუქტიული ფენებისა და ქანების მოხსნისა და განთავსების წესის განსაზღვრა, სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში 3. რადიონუკლიდებით და საშიში ნივთიერებებით, ტოქსიკური (სახიფათო) ნარჩენებით, ჩამდინარე წყლებით დაბინძურებული და დეგრადირებული ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენისა და რეკულტივაციის (ტექნიკური, ბიოლოგიური) მეთოდების განსაზღვრა.
საქართველოს მთავრობის დადგენილება № 421 „ტექნიკური რეგლამენტის - მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობისა და ექსპლუატაციის წესები და ნორმები - დამტკიცების თაობაზე“	11-აგვ-15	ტექნიკური რეგლამენტით დადგენილია: 1. ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და დახურვის შემდგომი პროცედურების ტექნიკური წესები და ინსტრუქციები; 2. არსებული ნაგავსაყრელების (რომლებსაც არ აქვს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვა) ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მოთხოვნები; 3. ნაგავსაყრელზე ნარჩენების მიღების პროცედურა, კრიტერიუმები და ნარჩენების მიწისქვეშ განთავსების უსაფრთხოების მოთხოვნები.

ტექნიკური რეგლამენტი	მიღების თარიღი	მოქმედების სფერო
საქართველოს მთავრობის დადგენილება № 426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“	17-აგვ-15	მოითხოვს მილსადენის მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი ნარჩენების კლასიფიკაციას ნარჩენების მითითებული კოდების შესაბამისად.
საქართველოს მთავრობის დადგენილება № 54 „ტექნიკური რეგლამენტის - გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა - დამტკიცების შესახებ“	14-იან-14	განსაზღვრავს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ნორმების დარღვევის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესს, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ან/და სამეურნეო საქმიანობის პროცესში გარემოსათვის მიყენებულ ზიანს და იმ შემთხვევაში, რომელიც არ მიუღია სახელმწიფოს და რომელსაც იგი მიიღებდა საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმების ჯეროვანი შესრულებისას.
საქართველოს მთავრობის დადგენილება №450 „ტექნიკური რეგლამენტის – მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების - დამტკიცების შესახებ“	27-აგვ-15	ტექნიკური რეგლამენტი ადგენს: <ol style="list-style-type: none"> 1. მაიონებელი გამოსხივების წყაროების კონტროლთან და დაცულობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს 2. უსაფრთხოების ძირითად ნორმებს მაიონებელი გამოსხივებით გამოწვეული საფრთხისაგან მუშაკების, მოსახლეობის, პაციენტებისა და სამედიცინო დასახივების გავლენის ქვეშ მყოფი სხვა პირთა დასაცავად 3. ავარიული დასახივების სიტუაციაში მაიონებელი გამოსხივების წყაროების კონტროლის, დაცულობისა და შესაბამისი ინფორმირების მიმართ მოთხოვნებს 4. მოთხოვნებს მუშაკებსა და მოსახლეობაზე უკონტროლო და არასათანადო კონტროლის ქვეშ მყოფი მაღალაქტიური დახურული წყაროებით გამოწვეული მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედების გავლენის თავიდან ასაცილებლად 5. სასმელ და მინერალურ წყალში, ნედლეულსა და ნიადაგში რადიონუკლიდების შემცველობის დასაშვებ დონეებს 6. სამშენებლო მასალებისა და მშენებლობისთვის განკუთვნილი პროდუქციის რადიონუკლიდების შემცველობის დონეებს.
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #297/ნ ბრძანება „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“	16-აგვ-2001	ამ ბრძანებით დამტკიცებულია შემდეგი ნორმები: <ol style="list-style-type: none"> 1. ზედაპირული წყლის დაბინძურებისაგან დაცვის სანიტარული წესები და ნორმები 2. ჰიგიენური მოთხოვნები არაცენტრალიზებული წყალმომარაგების წყლის ხარისხისადმი. წყაროების სანიტარული დაცვა 3. მოსახლეობის წყალმომარაგების ადგილებში ზღვის სანაპირო წყლის დაცვა დაბინძურებისაგან 4. მიწისქვეშა წყლების დაბინძურებისაგან დაცვის

ტექნიკური რეგლამენტი	მიღების თარიღი	მოქმედების სფერო
		<p>სანიტარიული წესები</p> <ol style="list-style-type: none"> 5. წყალმომარაგების წყაროებისა და წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები 6. ჰიგიენური მოთხოვნები დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის დაცვისადმი 7. დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები 8. ჰიგიენური მოთხოვნები ნახშიარი წყლებისა და მათი ნალექების სარწყავად და სასუქად გამოყენებისადმი 9. რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების სანიტარული წესების ნორმები 10. ფიზიკური ფაქტორების დასაშვები დონეების სანიტარული ნორმები სახალხო მოხმარების საგნების გამოყენებისას საყოფაცხოვრებო პირობებში 11. რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების მქონე ობიექტების სანიტარულ-დაცვითი ზონის განსაზღვრა 12. ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელ, საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე - სანიტარული წესები და ნორმები 13. საწარმოო ვიბრაცია, ვიბრაცია საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სათავსებში - სანიტარული წესები და ნორმები 14. დასახლებული ადგილების ნიადაგის მდგომარეობის ჰიგიენური შეფასება - მეთოდური მითითებები 15. მეთოდური მითითებები ნიადაგების ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების საშიშროების ხარისხის შეფასებაზე - მეთოდური მითითებები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება

როგორც ზემოთაა აღნიშნული (იხ. ცხრილი 6-2), EIA-თან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნები და პროცედურები დეტალურად აღწერილია გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონში (2007, შესწორებული) და გარემოზე ზემოქმედების შესახებ დებულებაში.

2007 წლის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონი განსაზღვრავს იმ ქმედებების სიას, რომლებიც უნდა დაექვემდებაროს ეკოლოგიურ ექსპერტიზას. სია მოიცავს ნავთობისა და გაზის მილსადენებს (თავი II, მუხლი 4, პარაგრაფი 1ე). კანონის მოქმედება ვრცელდება მილსადენების არსებული ინფრასტრუქტურების შეცვლაზეც (თავი II, მუხლი 4, პარაგრაფი 2). კანონი ავალდებულებს პროექტის ავტორებს, მოამზადონ და წარმოადგინონ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი, სხვა დოკუმენტებთან ერთად, რომელიც შემდეგ გახდება სახელმწიფოს 'ეკოლოგიური

ექსპერტიზის' (გამოკვლევის) საგანი. სახელმწიფოს მიერ დოკუმენტების განხილვის შემდეგ დადებითი დასკვნის შემთხვევაში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაიცემა ნებართვა. ეს გადამწყვეტი წინაპირობაა მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის (აღწერლია ქვემოთ).

2007 წლის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონი ასევე განსაზღვრავს EIA-ს ჩატარების მთელ რიგ მოთხოვნებს, რაც საჯარო კონსულტაციისა და საზოგადოების მონაწილეობის საჭიროებასაც გულისხმობს; კერძოდ: სავალდებულო კონსულტაციების 45 დღიან პერიოდსა და განაცხადის გამოქვეყნებიდან 50-დან მე-60 დღემდე შუალედში, საჯარო განხილვის მოწყობის მოთხოვნას. წერილობითი ან შეხვედრაზე ზეპირად გამოთქმული კომენტარები EIA-ს საბოლოო ანგარიშში უნდა იყოს გათვალისწინებული; ამა თუ იმ პრეტენზიის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნას მყარი არგუმენტები. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა საბოლოო ანგარიშის მიღებიდან 20 დღის ვადაში გაიცემა და მშენებლობის დაწყებისათვის ძალაშია ერთი წლის განმავლობაში.

ქვემოთ აღწერილი მოთხოვნები EIA-ს მოთხოვნების დანამატია და მოცემულია PCOA-ში.

სანებართვო მოთხოვნები

WREP-SR პროექტსაც მოეთხოვება მთელი რიგი ნებართვების და თანხმობების მიღება. მათგან ძირითადი ნებართვები და შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა მოცემულია ცხრილ 6-4-ში. ყველა ნებართვისა და თანხმობის მიღების საკითხს განაგებს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ. საგანაცხადო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ყველა ნებართვა მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში გაიცემა.

სამშენებლო ნებართვა

კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ ნებართვების გაცემის, შესწორებისა და გაუქმების პირობებსა და წესს განსაზღვრავს. ისეთი პროექტებისათვის, როგორც დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტია (WREP-SR), საჭიროა სამშენებლო ნებართვა. შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოს (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო), სამშენებლო ნებართვის გაცემამდე, უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული მოსაზრება გეოლოგიური საკითხების შესახებ
- კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული კულტურული მემკვიდრეობისაგან გასუფთავების ნებართვა
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) დამტკიცებული ანგარიში (ეკოლოგიური ექსპერტიზა)
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული პროექტის საინჟინრო პროექტის დამტკიცების დოკუმენტი
- პროექტის რეგისტრირებული უფლება მიწაზე.

ეკოლოგიური შეფასების დასკვნა (მაგ.: ESIA-ს ექსპერტიზა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ექსპერტის მიერ) სამშენებლო ნებართვის ნაწილია და მისი რეკომენდაციები შემსრულებლისთვის სავალდებულოა.

6.4 პროექტის გარემოსდაცვითი სტანდარტები

PCOA-ს თანახმად, პროექტმა მისი გარემოსდაცვითი სტანდარტების მომზადების პროცესში გაითვალისწინა ნავთობის ინდუსტრიის სათანადო საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა, კონკრეტული PCOA გარემოსდაცვითი სტანდარტები და საქართველოს ეროვნული გარემოსდაცვითი სტანდარტები.

WREP-SR პროექტის შესაბამისი რაოდენობრივი სტანდარტები განსაზღვრულია დანართ F-ში: პროექტის გარემოსდაცვითი სტანდარტები.

ცხრილი 6-4: ლიცენზიებსა და ნებართვებთან დაკავშირებული მოთხოვნები

საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ნებართვას	ნებართვის სახელწოდება	გამცემი ორგანო	საგანაცხადო მოთხოვნები	პროექტის ფაზა
სამშენებლო სამუშაოები	სამშენებლო ნებართვა	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	გეოლოგიური დასკვნები, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისაგან გასუფთავების ნებართვა; ადგილობრივი დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა საბოლოო საინჟინრო პროექტის შესახებ; ESIA-ს დამტკიცება; საბოლოო საინჟინრო პროექტი; მიწაზე უფლება	წინასამშენებლო ეტაპი
სამშენებლო სამუშაოები	ESIA-ის დამტკიცება (გარემოზე ზემოქმედების ნებართვა)	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (MENRP)	გარემოს ფონური პირობების შესახებ ანგარიშის დამტკიცება; საჯარო განხილვა; საზოგადოების მიერ გამოთქმული კომენტარების გათვალისწინებით ESIA - ს ანგარიშის დასრულება	წინასამშენებლო ეტაპი
სამშენებლო სამუშაოები	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისაგან სამშენებლო უბნის გაწმენდა	კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო	კამერალური კვლევა; არქეოლოგიური კვლევა; ძეგლების კვლევა; არქეოლოგიური გათხრები, თუ საჭიროა; კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შესახებ ანგარიში	წინასამშენებლო ეტაპი
სამშენებლო სამუშაოები	სასარგებლო წიაღისეულის შესახებ ინფორმაცია	გარემოს ეროვნული სააგენტო	პროექტის ფიზიკური კვალის GIS ფაილები	წინასამშენებლო ეტაპი

დასავლეთის მიმართულების საქსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ნებართვას	ნებართვის სახელწოდება	გამცემი ორგანო	საგანაცხადო მოთხოვნები	პროექტის ფაზა
სამშენებლო სამუშაოები	საბოლოო საინჟინრო პროექტის შესახებ ადგილობრივი დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა	დასადგენია (TBA)	საბოლოო საინჟინრო პროექტი და ექსპერტიზის მომსახურების გადასახადი	წინასამშენებლო ეტაპი
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ხე-ტყის ჭრა (სახეობები, რომლებიც არ არის შეტანილი საქართველოს წითელ ნუსხაში)	ტყითსარგებლობის შესახებ ხელშეკრულება	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ეროვნული სატყეო სააგენტო	განმცხადებელმა უნდა ჩაატაროს წინასამშენებლო კვლევა სატყეო სააგენტოს ადგილობრივ წარმომადგენელთან ერთად; განმცხადებელმა უნდა წარადგინოს ხემცენარეთა აღრიცხვის დეტალური საინვენტარიზაციო უწყისი	მშენებლობა
ხე-ტყის ჭრა არასატყეო მიწებზე (სახეობები, რომლებიც არ არის შეტანილი საქართველოს წითელ ნუსხაში)	ნებართვა ხე-ტყის ჭრაზე	სახელმწიფო საკუთრების ეროვნული სააგენტო (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები) მუნიციპალური ხელისუფლება (მუნიციპალური მიწა) კერძო მიწათმფლობელი (კერძო საკუთრებაში არსებული მიწა)	სამუშაოების დაწყებამდე განმცხადებელმა და მიწათმფლობელმა უნდა ჩაატარონ კვლევა	მშენებლობა
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ხე-ტყის ჭრა (სახეობები, რომლებიც შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში)	მთავრობის დადგენილება საქართველოს წითელი ნუსხაში შეტანილი ხე-მცენარეების ჭრის შესახებ	საქართველოს მთავრობა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ეროვნული სატყეო სააგენტო	ტყის დეტალური ინვენტარიზაცია	მშენებლობა
ხე-ტყის ჭრა არასატყეო მიწებზე (სახეობები, რომლებიც შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში)	თანხმობა საქართველოს წითელი ნუსხაში შეტანილი ხე-მცენარეების ჭრის შესახებ	სახელმწიფო საკუთრების ეროვნული სააგენტო (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები) მუნიციპალური ხელისუფლება (მუნიციპალური		მშენებლობა

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ნებართვას	ნებართვის სახელწოდება	გამცემი ორგანო	საგანაცხადო მოთხოვნები	პროექტის ფაზა
		მიწა) კერძო მიწათმფლობელი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და საქართველოს მთავრობა (კერძო საკუთრებაში არსებული მიწა)		
კარიერიდან სამშენებლო მასალების მოპოვება	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	რესურსის მოპოვების შესახებ პროექტი და სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის გადასახადი აუქციონის გარეშე, სამართლიანი საბაზრო ფასის შესაბამისად	მშენებლობა
წყალაღება მდინარიდან ან ტბიდან	თანხმობა ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების შესახებ	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების პროექტი	მშენებლობა
დამუშავებული ჩამდინარე წყლის, ჰიდრო-ტესტის წყლის და ა.შ. ჩაშვება მდინარეში, ტბაში	თანხმობა ჩამდინარე წყლის ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების შესახებ	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ტექნიკური ინვენტარიზაციის ანგარიში და პროექტი დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების შესახებ	მშენებლობა
გამონაბოლქვი სტაციონარული წყაროებიდან	ატმოსფერული ემისიების ზღვრული ნორმების დამტკიცება	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ტექნიკური ინვენტარიზაციის ანგარიში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი	მშენებლობა
ორმხრივი რადიოს, რადიო სადგურებისა და ა.შ. გამოყენება	რადიო სიხშირის განსაზღვრა	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	აღჭურვილობის მახასიათებლები და დაფარვის ზონა	წინასამშენებლო ეტაპი / მშენებლობა
მისასვლელი გზების მშენებლობა ან გაუმჯობესება	სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების დამტკიცება	რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები	მშენებლობის ან გაუმჯობესების პროექტი	წინასამშენებლო ეტაპი / მშენებლობა

დასავლეთის მიმართულების საქსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
 საბოლოო ანგარიში

საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ნებართვას	ნებართვის სახელწოდება	გამცემი ორგანო	საგანაცხადო მოთხოვნები	პროექტის ფაზა
ჭარბი წონის ან ზომის ტვირთის ტრანსპორტირება	ტრანსპორტირების ნებართვა	შინაგან საქმეთა სამინისტრო	ესკორტის მომსახურების შესახებ კონტრაქტი უსაფრთხოების პოლიციასთან, რკინიგზის გადაკვეთებისთვის შპს საქართველოს რკინიგზის თანხმობა, პოტენციური მარშრუტების და სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის სია	წინასამშენებლო ეტაპი / მშენებლობა
ჭარბი მასალის განთავსება	ჭარბი მასალის განთავსების დამტკიცება	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	უბნისა და ჭარბი მასალის აღწერა	მშენებლობა
საქონლის იმპორტი	განბაჟება	ფინანსთა სამინისტრო	წარმოშობის სერტიფიკატი და ტექნიკური მახასიათებლები / სპეციფიკაციები	ყველა
ასაფეთქებელი ნივთიერებების იმპორტი	ასაფეთქებელი ნივთიერებების იმპორტის ნებართვა	შინაგან საქმეთა სამინისტრო	წარმოშობის სერტიფიკატი და ტექნიკური მახასიათებლები / სპეციფიკაციები, მიზანი, ხანგრძლივობა	მშენებლობა
ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება	ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენების ნებართვა	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სპეციფიკაციები, დასაწყობებისა და ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სამუშაოთა მოცულობა	მშენებლობა
რადიოაქტიური ნივთიერებების იმპორტი	რადიოაქტიური ნივთიერებების იმპორტის ნებართვა	საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო / გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	წარმოშობის სერტიფიკატი და სპეციფიკაციები, მიზანი, ხანგრძლივობა	მშენებლობა
რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყენება	ბირთვული და რადიაციული ნივთიერებების გამოყენების ნებართვა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სპეციფიკაციები, დასაწყობებისა და ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სამუშაოთა მოცულობა	მშენებლობა